



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

(ქ. ოზურგეთი კოსტავას ქ. №1 ტელ. 7-45-25)

12 ნოემბერი 2013 წელი

ბრძანება №362

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ლიხაურის თემის ტერიტორიის
ცოფის დაავადების მხრივ არაკეთილსაიმედოთ გამოცხადებისა
და შეზღუდვების დაწესების შესახებ**

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ღ“ ქვეპუნქტის, 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის და „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი“-ს 55-ე მუხლის შესაბამისად:

ე ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ „სურსათის ეროვნული სააგენტო“-ს გურიის რეგიონალური სამმართველოს ამ/წ. 5 ნოემბრის №172 მომართვის საფუძველზე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ლიხაურის თემის ტერიტორია გამოცხადდეს არაკეთილსაიმედოდ, ცოფის დაავადების მხრივ.
2. არაკეთილსაიმედო ტერიტორიაზე დაწესდეს შეზღუდვები და გატარდეს კანონით გათვალისწინებული ვეტერინალურ-სანიტარული ღონისძიებები.
3. დაევალოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“-ს, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ „სურსათის ეროვნული სააგენტო“-ს გურიის რეგიონალური სამმართველოსთან ერთად განახორციელოს ცოფის სალიკვიდაციო ღონისძიებები.
4. ბრძანება გადაეგზავნოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“-ს და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ „სურსათის ეროვნული სააგენტო“-ს გურიის რეგიონალურ სამმართველოს.
5. კონტროლი ცოფის სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელებაზე დაევალოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელს (კონსტანტინე შარაშენიძეს).
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ი.სიორიძის ქ. №14)
7. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

ავთანდილ სურგულაძე